

## საკრედიტო ბარათის პირობები

**შინაარსი**

შესავალი .....	3
ტერმინთა განმარტებები .....	3
კლიენტის განცხადებები.....	4
საკრედიტო ლიმიტი .....	4
პროცენტის და სხვა გადასახდელის დარიცხვა.....	4
საკრედიტო ბარათით გახარჯული თანხის გადახდა .....	5
ვადაგადაცილება და სანქციები.....	5
ნებადართული ოპერაციები.....	6
საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები .....	6
საკრედიტო ლიმიტის ვალუტა .....	6
პასუხისმგებლობა .....	6
ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ .....	6
თანხების უაქცეპტო წესით ჩამოჭრა.....	7
დამატებითი ბარათები .....	7
ავტორიზაცია .....	7
შეღვათიანი პირობები და წამახალისებელი აქციები .....	7
შეტყობინების ვალდებულება .....	7
კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია .....	7
მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა.....	8
დასკვნითი დებულებები .....	8
საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #1 - ტარიფები .....	10

**საკრედიტო ბარათის პირობები**
**1. შესავალი**

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **საკრედიტო ბარათით** მომსახურების პირობებს (შემდგომში - **პირობები**).
- 1.2. **ბანკსა** და **კლიენტს** შორის **საკრედიტო ბარათით** სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში ხელშეკრულება), რომელიც შედგება:
  - 1.2.1. **კლიენტის** მიერ შევსებული და **მხარეების** მიერ ხელმოწერილი **განაცხადისაგან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - 1.2.2. **მხარეთა** შორის გაფორმებული **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებისაგან;
  - 1.2.3. წინამდებარე **პირობებისაგან**;
  - 1.2.4. **საკრედიტო ბარათით** სარგებლობის **ბანკში** დადგენილი ტარიფებისაგან, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს;
  - 1.2.5. **ბანკში** არსებული **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებისაგან**.
- 1.3. წინამდებარე **პირობების** საგანს წარმოადგენს:
  - 1.3.1. **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული დებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად **კლიენტისათვის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე **საკრედიტო ლიმიტის** დაშვება;
  - 1.3.2. **კლიენტის** მიერ მისი **საკრედიტო ლიმიტით** სარგებლობის წესების განსაზღვრა; და
  - 1.3.3. **მხარეთა** მიერ ამ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების წესის განსაზღვრა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საკრედიტო ლიმიტს**, მასზე დარიცხვულ **პროცენტს**, საკომისიოს, **გადახარჯული თანხის** და წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დავალიანების გადახდის წესების განსაზღვრას.
- 1.4. **კლიენტი** ვალდებულია წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების გამოყენებისათვის ყურადღებით გაეცნოს წინამდებარე და **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებს** და სრულად შეასრულოს ისინი. **კლიენტი** ასევე პასუხისმგებელია დამატებითი ბარათის მფლობელების მიერ წესდებული **პირობების** გაგონობასა და მათ სრულად შესრულებაზე.
- 1.5. **საკრედიტო ბარათის განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერით **კლიენტი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
  - 1.5.1. **საკრედიტო ბარათის განაცხადი** შეავსო სრულად;
  - 1.5.2. მის მიერ **განაცხადში** შევსებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი;
  - 1.5.3. **განაცხადის** ხელმოწერამდე სრულად გაეცნო წინამდებარე პირობებს, ტარიფებს და **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებს**;
  - 1.5.4. წინამდებარე **პირობებსა** ან ხელშეკრულებაში არ არსებობს გაურკვეველი პუნქტი და ხელშეკრულებას განიხილა **ბანკის** შესაბამის წარმომადგენელთან და სრულად მისაღება მისთვის;
  - 1.5.5. შესაბამისი ველის მონიშვნის შემთხვევაში თანახმაა **ბანკში** არსებული მისი ნებისმიერი ანაზარი გამოყენებულ იქნას წინამდებარე **საკრედიტო ლიმიტის** უზრუნველყოფის საშუალებად.

**2. ტერმინთა განმარტებები**

- 2.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (**პირობების**) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
  - 2.1.1. **აბტორიზაცია** - თანხმობა საბანკო ოპერაციის განხორციელებაზე;
  - 2.1.2. **ა.შ.შ. დოლარი** - ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ვალუტა;
  - 2.1.3. **ბანკი** - ს.ს. ლიბერთი ბანკი, რეგისტრაციის თარიღი: 27 მარტი, 1995 წელი, საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304, საბანკო ლიცენზია № 0110247, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის 74;
  - 2.1.4. **დანართების თარიღი** - ყოველი თვის ბოლო კალენდარული დღე;
  - 2.1.5. **გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი** ან **გადახარჯული თანხა** - **საკრედიტო ლიმიტის** გადახარჯვის შედეგად დაშვებულ **საკრედიტო ლიმიტსა** და **საკრედიტო ბარათით** რეალურად გახარჯულ თანხას შორის არსებული სხვაობა;
  - 2.1.6. **გადახდის პერიოდი** - პერიოდი ყოველი თვის პირველი კალენდარული დღიდან ოცდახუთი (25) რიცხვის ჩათვლით, როდესაც **კლიენტს** აქვს **მინიმალური გადასახადის** გადახდის ვალდებულება. თუ გადახდის პერიოდის ბოლო დღე ემთხვევა არასაბანკო დღეს გადახდის პერიოდი სრულდება მომდევნო **საბანკო დღეს**;
  - 2.1.7. **განაცხადი** ან **საკრედიტო ბარათის განაცხადი** - **ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისათვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია საკრედიტო მომსახურების მიღების შესახებ, რომელსაც **კლიენტი** ეთანხმება ხელმოწერით ან/და ელექტრონული ფორმის დადასტურებით (ელექტრონული თანხმობა), რაც ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/წების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
  - 2.1.8. **ცერო** - ვეროკავშირის ზოგადი ცერო ქვეყნის, აგრეთვე მონეტერგოს, ანდორას, მონაკოს, სან მარინოს, ვატიკანის და კოსოვოს ოფიციალური ვალუტა;
  - 2.1.9. **გადახადების თარიღი** - **გადახდის პერიოდის** ბოლო დღის მომდევნო დღე, თუ **საკრედიტო ბარათზე** ნებისმიერი სახის დავალიანების

- არსებობის შემთხვევაში **კლიენტი გადახდის პერიოდში** არ გადაუხდის **ბანკს** სულ მცირე **მინიმალურ გადასახადს**;
- 2.1.10. **გადახადების საჯარიმო პროცენტი** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1;
- 2.1.11. **ვადგადახდების ფიქსირებული პირგასამტეხლო** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1;
- 2.1.12. **ვადგადახდების დავალიანება** - **კლიენტის სრული დავალიანება** **ბანკის** წინაშე, რომელიც არ არის გადახდილი წინამდებარე **პირობებით** დადგენილ ვადებში;
- 2.1.13. **კლიენტი** - პირი, რომლის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მითითებულია **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზე **ბანკის** თანხმობით სარგებლობს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მომსახურებით ან/და პროდუქტებით;
- 2.1.14. **კლიენტის დეფოლტი** - **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებებისა;
- 2.1.15. **ლარი** - საქართველოს ოფიციალური ვალუტა;
- 2.1.16. **ლიბერთი ანგარიში** - **ბანკში** არსებული **კლიენტის** მულტისაგალუტო მიმდინარე ანგარიში;
- 2.1.17. **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობები** - ლიბერთი ანგარიშის მომსახურების **ბანკის** მიერ დადგენილი პირობები, რომელიც **ბანკის** ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს;
- 2.1.18. **მინიმალური გადასახადი** - **საკრედიტო ბარათის** მეშვეობით ათვისებული თანხის ყოველთვიურად გადასახდელი მინიმალური ოდენობა, რომელიც მოიცავს: ა) **საკრედიტო ბარათზე** დაშვებულ **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებული თანხის ნაწილს, რომელიც (ნაწილი) განისაზღვრება ინდივიდუალურად, დამოკიდებული **საკრედიტო ბარათის** სახეობაზე როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1; ბ) **საკრედიტო ბარათზე** დაშვებული **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებულ თანხაზე ტარიფების შესაბამისად დარიცხულ **პროცენტს**; გ) ტარიფების შესაბამისად დარიცხულ **ვადგადახდების საჯარიმო პროცენტს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დ) **გადახარჯულ თანხას** (ასეთის არსებობისას); ე) **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტს** (ასეთის არსებობისას); ვ) განვლილ **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში** წარმოშობილ და დაუფარავ **ვადგადახდებულ დავალიანებას** (ასეთის არსებობისას); ზ) განვლილ **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში ბანკის** მიერ დაურცილებ ან გადაუხადებულ ნებისმიერ სხვა გადასახდელს (ასეთის არსებობისას);
- 2.1.19. **მხარე/მხარეები** - **ბანკი** ან/და **კლიენტი** ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი(ებ)ი კონტექსტის შესაბამისად;
- 2.1.20. **საკრედიტო ბარათის მთლიანი დავალიანება** ან **მთლიანი დავალიანება** - **დანართების თარიღისათვის საკრედიტო ბარათზე** არსებული **სრული დავალიანება**;
- 2.1.21. **საკრედიტო ბარათის პირობა** - პირობა, რომლითაც **კლიენტი** უფლებამოსილია უპროცენტოდ ისარგებლოს **საკრედიტო ლიმიტით** **საანგარიშგებო პერიოდის** განმავლობაში. აღნიშნული პირობა დგება იმ შემთხვევაში, თუ: ა) **საკრედიტო ბარათის** ანგარიშის ნაშთი **დანართების თარიღზე** არის ნულის ტოლი ან დადებითი; ან ბ) **კლიენტი გადახდის პერიოდში** სრულად დაფარავს **საკრედიტო ბარათზე** მთლიან **დავალიანებას**, რომელიც **გადახდის პერიოდში** შესაძლებელია დაიფაროს როგორც ერთიანად ასევე ნაწილ-ნაწილ. ბანკს აქვს უფლება არ გააგრძელოს **საკრედიტო ბარათის** **საკრედიტო ბარათის** კონკრეტულ სახეობაზე, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1.
- 2.1.21. **საანგარიშგებო პერიოდი** - მოიცავს ერთ კალენდარულ თვეს - თვის პირველი კალენდარული დღიდან ბოლო კალენდარული დღის ჩათვლით;
- 2.1.22. **საბანკო პლასტიკური ბარათი** ან **საბანკო ბარათი** ან **პლასტიკური ბარათი** - **ბანკის** მიერ **კლიენტზე** **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად გაცემული საერთაშორისო (VISA, MasterCard ან CUP) ან ლოკალური (PAY) პერსონალიზირებული (ბარათზე ამოტვირთული კლიენტის სახელი და გვარი) ან არაპერსონალიზირებული საბანკო პლასტიკური ბარათი, რომლით სარგებლობის და რომლის უსაფრთხოების პირობები განისაზღვრება **ლიბერთი ანგარიშის** და **PAY ანგარიშის მომსახურების პირობებისა** და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 2.1.23. **საბანკო დღე** - **ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ამორცილებს საბანკო მომსახურებას;
- 2.1.24. **საკრედიტო ბარათი** - **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დამზადებული Magic Card საკრედიტო ბარათი, განვადების ბარათი „შოპინგ ქარდი“, მასწავლებლის საკრედიტო ბარათი, Instanta Card ან/და სხვა სახის საკრედიტო ბარათი(ებ)ი, რომელიც შესაძლებელია **ბანკმა** დრო და დრო გამოუშვას და შესთავაზოს **კლიენტებს** და რომელზეც დაიშვება **ბანკის** მიერ განსაზღვრული **საკრედიტო ლიმიტი**. **საკრედიტო ბარათი** შეიძლება იყოს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი;
- 2.1.25. **საკრედიტო ბარათის გაუქმება** - **საკრედიტო ბარათის** მოქმედების შეწყვეტა;
- 2.1.26. **საკრედიტო ბარათის დეფოლტი** - **კლიენტის** მიერ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების გადაუხდელობა, რომელიც უწყვეტად გრძელდება **ვადგადახდების თარიღიდან** სულ მცირე 60 (სამოცი) დღე მაინც;
- 2.1.27. **საკრედიტო ბარათის დეფოლტის პირგასამტეხლო** ან **დეფოლტის პირგასამტეხლო** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1;

**საკრედიტო ბარათის პირობები**

- 2.1.28. **საკრედიტო ლიმიტი** - თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს **ბანკის** მიერ **საკრედიტო ბარათზე** დამკვეთი საკრედიტო რესურსით;
- 2.1.29. **საკრედიტო ლიმიტის ზღვირება** - საკრედიტო ლიმიტის გახარჯვის უფლების შეზღუდვა;
- 2.1.30. **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა** - საკრედიტო ბარათზე დამკვეთი ლიმიტის ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხის ნებისმიერი სახით გამოყენება;
- 2.1.31. **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტი ან გადახარჯვის პროცენტი** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართში #1;
- 2.1.32. **საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა** - 12 (თორმეტი) თვე **საკრედიტო ბარათის** გაცემის ან **საკრედიტო ლიმიტის ბანკის** მიერ გადახედვის თარიღიდან, თუ **ხელშეკრულების** პირობებიდან გამომდინარე რაიმე სხვა არ არის განსაზღვრული.
- 2.1.33. **საპროცენტო განაკვეთი ან პროცენტი** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართში #1;
- 2.1.34. **სრული დავალიანება** - კლიენტის მიერ **საკრედიტო ბარათის** სარგელობასთან დაკავშირებული **ბანკის** წინაშე წარმოქმნილ **კლიენტის** ვალდებულებათა ერთობლიობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ **პროცენტს**, პირგასამტეხლოსა და საკომისიოებს (მათი არსებობის შემთხვევაში);
- 2.1.35. **VISA P2P / MasterCard MoneySend სერვისი** - VISA / MasterCard საერთაშორისო საგადახდელი სისტემაში ჩართული ერთი **საბანკო ბარათიდან** მეორე **საბანკო ბარათზე** თანხის გადარიცხვის შესაძლებლობა ბანკომატის მეშვეობით.
- 2.1.36. **ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაცია** - საბანკო ბარათით საქონლის ან/და მომსახურების შეძენა, რომელიც მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია გადაიქცეს ფულად რესურსად. ასეთი სახის ოპერაციები მოიცავს მათ შორის ბარათის გამოყენებით კაზინოში ან ტოტალიზატორში ფსონის დადებას, ფულადი გზავნილის გადარიცხვას, სამოგზაურო ჩეკ(ებ)ის შექმნას და სხვა ოპერაციებს. ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაცია შეიძლება ჩატარდეს საბანკო ბარათით როგორც ჩვეულებრივად (მაღაზია, კაზინო, ბანკი და სხვა დაწესებულება) ასევე დისტანციურად ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სხვა არხის გამოყენებით, რომელიც არ ითვალისწინებს მომხმარებლის ფიზიკურ ყოფნას საქონლის/მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის ობიექტში.

**3. კლიენტის განცხადებები**

- 3.1. **კლიენტი საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით ან/და **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურებით სარგელობით აცხადებს თანხმობას, რომ:
- 3.1.1. **კლიენტს** აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს და შესრულოს ამ ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით და **განაცხადებით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებები;
- 3.1.2. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტია, უტყუარი და სრულია;
- 3.1.3. **წინამდებარე პირობებით** გათვალისწინებული ოპერაცი(ებ)ის შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან **კლიენტის** სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარგულირებული ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია **კლიენტი**. ამ **პირობებით** განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის **მხარესაც** წარმოადგენს **კლიენტი**;
- 3.1.4. **კლიენტი** არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობას ან საქმიანობაზე;
- 3.1.5. **კლიენტი** არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმს ან სხვა სახის უკანონო საქმიანობაში).
- 3.1.6. **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).
- 3.2. აღნიშნული განცხადებები ძალაშია ამ ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში.
- 3.3. **კლიენტი** ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებით ბარათის მფლობელ(ებ)ს) ამ ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს აქ მოყვანილი გარანტიების დარღვევას.

- 3.4. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ხელშეკრულებაში მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.
- 3.5. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება **ბანკის** უფლება მოითხოვოს ზიანის ანზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** განმავლობაში, **კლიენტი** თანახმაა **ბანკს** აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

**4. საკრედიტო ლიმიტი**

- 4.1. **განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შესვლით **კლიენტი** აცხადებს თავის ნებას მიიღოს **საკრედიტო ბარათი** და მასზე დამკვეთი **საკრედიტო ლიმიტი**.
- 4.2. **კლიენტის** მიერ **განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსება და ხელმოწერა ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა არ ავალდებულებს **ბანკს** უპირობოდ გაუწიოს **კლიენტს** წინამდებარე **პირობებით** და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- 4.3. **საკრედიტო ლიმიტის** ზღვრული ოდენობა განისაზღვრება **ბანკის** ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, მათ შორის **კლიენტის** მიერ **განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფიქსირებული მოთხოვნის გათვალისწინებით.
- 4.4. **საკრედიტო ბარათზე საკრედიტო ლიმიტი** მტკიცდება **საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადით**. იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ლიმიტი** უზრუნველყოფილია ანაბრით, მისი მოქმედების ვადა წყდება ანაბრის მოქმედების ვადის ბოლო დღეს ან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღზე. მიუხედავად წინამდებარე პუნქტის დებულებებისა, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად განსაზღვროს **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების ნებისმიერი სხვა ვადა.
- 4.5. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს **საკრედიტო ლიმიტის** გაზრდა ან შემცირება, მაგრამ **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება **საკრედიტო ლიმიტის** გაზრდის ან შემცირების შესახებ, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.
- 4.6. თუ **კლიენტი საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის** ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობით არ მოითხოვს **საკრედიტო ლიმიტის** შეწყვეტას (და შესაბამისად **საკრედიტო ბარათის გაუქმებას**), **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების თითოეული ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში თავისი შეხედულებისამებრ გადახედოს **კლიენტის საკრედიტო ბარათის** ლიმიტს და დამატაციოს (ან არ დამატაციოს) ის **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების მომდევნო ვადით.
- 4.7. **ბანკი** უფლებამოსილია, რომ **კლიენტის** მოთხოვნის ან **ბანკის** მიერ მოსთხოვი ყოველგვარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე ნებისმიერ დროს გაზარდოს ან შეამციროს **კლიენტის საკრედიტო ლიმიტი**, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.
- 4.8. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაიკამოფილოს თავისი მოთხოვნა ანაბრის თანხიდან, იმ შემთხვევაში თუ ანაბრით უზრუნველყოფილი **საკრედიტო ლიმიტით** მოსარგებლე **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე **პირობებს**.
- 4.9. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი იქონიოს 100 (ასი) **ლარზე** მეტი ოდენობის დადებითი ნაშთი **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე ნებისმიერ დროს აღმოჩნდება 100 (ასი) **ლარზე** მეტი ოდენობის დადებითი ნაშთი, **ბანკი** უფლებამოსილია ასეთი ჭარბი თანხა უაქცეპტოდ გადარიცხოს **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერ ანგარიშზე (მათ შორის **ლიბერთი ანგარიშზე**).
- 4.10. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკი საკრედიტო ლიმიტის** გადახედვის შედეგად შეუძლირებს **კლიენტს საკრედიტო ლიმიტს** და შედეგად **კლიენტის** მიერ ათვისებული თანხა გადააჭარბებს ახლად დამტკიცებულ შემცირებულ **საკრედიტო ლიმიტს**, **კლიენტი** ვალდებული იქნება დაფაროს წარმოშობილი სხვაობა მისი (სხვაობის) წარმოშობიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** ვადაში.

**5. პროცენტის და სხვა გადასახდლების დარიცხვა**

- 5.2. თუ **კლიენტი** არ ისარგებლებს **ნულოვანი პროცენტის პირობით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში, - დამოკიდებული **საკრედიტო ბარათის** სახეობაზე, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1), **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე დარიცხოს და **საკრედიტო ლიმიტიდან** დაფაროს განვლილი **საანგარიშგებო პერიოდის** კუთვნილი **პროცენტი**.
- 5.3. **პროცენტი** იანგარიშება კრედიტით სარგელობის ფაქტური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე დაანგარიშებით.
- 5.4. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს პირგასამტეხლო, როგორც **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებული თანხის ძირზე და **გადახარჯულ თანხაზე**, ასევე მათზე შესაბამისად დარიცხულ **საპროცენტო განაკვეთზე**.



საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტზე, ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტზე და ვადაგადაცილების ფიქსირებულ პირგასამტეხლო(ებ)ზე.

5.5. **ბანკი** უფლებამოსილია საკრედიტო ბარათის ანგარიშიდან უპეცეპტოდ ჩამოქრას პროცენტს, ისევე როგორც საკრედიტო ბარათზე რიცხული ნებისმიერი სხვა გადასახდელი იმ შემთხვევაშიც, თუ საკრედიტო ბარათზე არსებული ნაშთი არ არის საკმარისი პროცენტის ან/და შესაბამისი გადასახდელის დასაფარად. ამ შემთხვევაში საკრედიტო ბარათის ნაშთი გადააჭარბებს დამუშეულ საკრედიტო ლიმიტს და მოხდება საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა.

**6. საკრედიტო ბარათით გახარჯული თანხის გადახდა**

6.1. საკრედიტო ლიმიტის სრულად ან ნაწილობრივ ათვისების შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ყოველთვიურად გადახდის პერიოდის განმავლობაში გადაიხადოს სულ მცირე საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დარიცხული მინიმალური გადასახადი.

6.2. საკრედიტო ლიმიტის და ნებისმიერი სხვა გადასახდელ(ებ)ის გადახდა განხორციელდება საკრედიტო ბარათზე თანხის ბანკის საგადახდო არხების (მათ შორის ბანკის საღაროს) საშუალებით შეტანის ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით ჩარიცხვის გზით.

6.3. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი თანხების საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დროულად ასახვისათვის. ნებისმიერი შეფერხებისათვის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კლიენტის საკრედიტო ანგარიშზე თანხის ასახვის დაგვიანება პასუხს აგებს კლიენტი, რაც შეზღუდული გარეშე მოიცავს, კლიენტის ვალდებულებას გადაიხადოს ასეთი შეფერხების შედეგად მის ანგარიშზე დარიცხული სრული დავალიანება ან ბანკის მიერ დადგენილი მისი რაიმე ნაწილი.

6.4. დავალიანების დაფარვისას გადასახდელი თანხა იფარება შემდეგი თანმიმდევრობით: (ა) საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტი; (ბ) ყოველთვიური მომსახურების საკომისიო; (გ) ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი; (დ) ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო(ებ)ი (ასეთის არსებობისას); (ე) გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი; (ვ) დარიცხული პროცენტი; (ზ) დავალიანების ძირითადი თანხა. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს გადახდის სხვა თანმიმდევრობა.

6.5. კლიენტი აცხადებს თანხმობას, **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე:

6.5.1. **ბანკმა**, საკუთარი არჩევანით, კლიენტისაგან მიღებული ფულადი სახსრებიდან პირველ რიგში დაფაროს სრული დავალიანება ან მისი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა); ან

6.5.2. **ბანკმა**, საკუთარი არჩევანით, არ განახორციელოს სრული დავალიანების ან მისი ნაწილის დაფარვა, თუ კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა). კლიენტის მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით სრული დავალიანების ან მისი ნაწილის დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ რაც დაიფარება/შემგირდება ბანკის წინაშე არსებული კლიენტის ამ ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.

6.6. კლიენტს არ დარიცხება პროცენტი საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებულ თანხაზე თუ კლიენტი ისარგებლებს ნულოვანი პროცენტის პირობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში, - დამოკიდებული საკრედიტო ბარათის სახეობაზე, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე პირობების დანართში #1). ნულოვანი პროცენტის პირობა არ ვრცელდება გადახარჯულ თანხაზე.

6.7. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადაუხადოს ბანკს საკრედიტო ბარათის ანგარიშზე წარმოქმნილ მინიმალურ გადასახადზე მეტი.

6.8. მინიმალური საკრედიტო გადასახადის გადახდის პერიოდის განმავლობაში გადაუხდელი თანხის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება ან/და კლიენტს დააკისროს პირგასამტეხლო ტარიფებით დადგენილი ოდენობით.

6.9. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტის და ნებისმიერი პირგასამტეხლოს სრულად გადახდა და კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მოთხოვნილი თანხები.

**6.10. საკრედიტო ბარათის მთლიანი დავალიანების ავტომატური დაფარვის სერვისი:**

6.9.1. კლიენტი უფლებამოსილია, **ბანკისათვის** შესაბამისი განაცხადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და საკრედიტო ბარათით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების წარდგენის საფუძველზე, გააქტიუროს საკრედიტო ბარათის მთლიანი დავალიანების ავტომატური დაფარვის სერვისი (შემდგომში „დაფარვის სერვისი“).

6.9.2. დაფარვის სერვისის გააქტიურების შემდეგ ყოველი თვის 20 (ოცი) რიცხვიდან იმავე თვის 22 (ოცდაორი) რიცხვის ჩათვლით, განხორციელდება **ბანკში** არსებული კლიენტის ანგარიშ(ებ)ის შემოწმება და ხელმისაწვდომი ნაშთის შესაბამის შემთხვევაში კლიენტის მთლიანი დავალიანების დაფარვის პირობის შესარღვევლად საჭირო თანხის ჩამოქრა და აღნიშნული დავალიანების დაფარვა; 6.9.3. დავალიანების დაფარვა ხორციელდება, როგორც დავალიანების ვალუტაში კლიენტის ანგარიშზე რიცხული ნაშთებიდან, ასევე დავალიანების ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში რიცხული ნაშთებიდან;

6.9.4. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანების დაფარვა ხდება ანგარიშიდან, რომლის ვალუტა განსხვავდება დავალიანების ვალუტისაგან, დავალიანების დაფარვის მიზნით განხორციელდება შესაბამისი თანხის კონვერტაცია დავალიანების ვალუტაში იმ დროისათვის **ბანკში** არსებული კომერციული კურსის მიხედვით;

6.9.5. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე არ ირიცხება საკმარისი ნაშთ(ებ)ი კლიენტის მთლიანი დავალიანების სრული დაფარვის მიზნით, აღნიშნული დავალიანება დაიფარება ნაწილობრივად შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე ხელმისაწვდომი ნაშთ(ებ)ის შესაბამისად;

6.9.6. კლიენტს ნებისმიერ დროს **ბანკში** შესაბამისი განაცხადის გაკეთების გზით შესაძლებლობა აქვს გაითიშოს დაფარვის სერვისი;

6.9.7. დაფარვის სერვისის გააქტიურებისას კლიენტს დაეკისრება სერვისის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიო. აღნიშნული საკომისიოს გადახდა ხორციელდება საკრედიტო ბარათის ლიმიტიდან, მათ შორის საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის ხარჯზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკრედიტო ბარათზე ჯერ არ დაფიქსირებულა აქტიური თარიღი);

6.9.8. დაფარვის სერვისით სარგებლობისას ყოველი თვის 19 (ცხრამეტი) რიცხვი კლიენტს დაეირიცხება სერვისით სარგებლობის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო. აღნიშნული საკომისიოს გადახდა (სრულად ან ნაწილობრივ) ხორციელდება **ბანკში** არსებული კლიენტის მიმდინარე ტიპის ანგარიშ(ებ)იდან (მათ შორის საკრედიტო ბარათის ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში დენომინირებული ანგარიშებიდან, რა შემთხვევაშიც საკომისიოს გადასახდელად განხორციელდება შესაბამისი თანხის კონვერტაცია დავალიანების ვალუტაში იმ დროისათვის **ბანკში** არსებული კომერციული კურსის მიხედვით);

6.9.9. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე არ არის საკმარისი თანხა ავტომატური დაფარვის სერვისის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს სრულად გადასახდელად, - აღნიშნული საკომისიოს დაფარვა ნაწილის გადახდა მოხდება მოგვიანებით (სრულად ან ნაწილობრივ) კლიენტის ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხის გაჩენისთანავე, მათ შორის თუ ამ მომენტისათვის კლიენტს უკვე აღარ გააჩნია საკრედიტო ლიმიტი;

6.9.10. ავტომატური დაფარვის სერვისის ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს 3 (სამი) თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში (მათ შორის კლიენტის მიმდინარე ტიპის ანგარიშზე საკომისიოს გადასახდელად საკმარისი თვისუფალი ნაშთის არ არსებობის გამო), **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს საკომისიოს აკუმულირება და საკრედიტო ბარათზე შეაჩეროს ავტომატური დაფარვის სერვისი;

6.9.11. ავტომატური დაფარვის სერვისის ხელახლა გააქტიურება კლიენტს შეეძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად დაფარავს აღნიშნული სერვისის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო დავალიანებას (ასეთის არსებობისას);

6.9.12. საკრედიტო ბარათის დაფარვის სერვისის ტარიფები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის დანართში #1.

**7. ვადაგადაცილება და საწევიები**

7.1. კლიენტი ვალდებულია, რომ წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადებში გადაიხადოს საკრედიტო ბარათზე არსებული თვისი დავალიანება.

7.2. კლიენტი ვალდებულია, რომ საკრედიტო ბარათი განკარგოს საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში და არ განახორციელოს საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა. **ბანკის** თანხმობის გარეშე განხორციელდები კრედიტის გადახარჯვისათვის **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტს დააკისროს პირგასამტეხლო ტარიფების შესაბამისად, რაც **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში უნდა იქნას გადახდილი კლიენტის მიერ.

7.3. საკრედიტო ლიმიტის განმავლობაში კლიენტმა **ბანკის** მიერ მითითებულ ვადაში უნდა დაფაროს გადახარჯული თანხა სრულად.

7.4. გადახდის პერიოდის განმავლობაში მინიმალური გადასახადის გადაუხდელობისას **ბანკი** უფლებამოსილია დაბლოკოს საკრედიტო ბარათი და დააკისროს კლიენტს შესაბამისი პირგასამტეხლო (წინამდებარე პირობების დანართი #1-ის შესაბამისად).

7.5. თუ საკრედიტო ლიმიტის ვადის განმავლობაში კლიენტს აუენიშნება 30 კალენდარული დღე ან მეტი ვადაგადაცილება, **ბანკი** უფლებამოსილია შეაჩეროს საკრედიტო ბარათის მოქმედება და მოითხოვოს კლიენტისაგან საკრედიტო ბარათიდან ათვისებული თანხის, მასზე დარიცხულ პროცენტთან, პირგასამტეხლოსთან და საკომისიოებთან ერთად, დაუყოვნებლივ სრულად დაფარვა. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტის დავალიანება უპეცეპტო წესით ჩამოქრას კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან. თუ კლიენტის მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარვად, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს დავალიანების დაფარვა კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გზით.

7.6. საკრედიტო ბარათის დეფოლტის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს საკრედიტო ბარათი და დაარეგისტროს კლიენტს დეფოლტის პირგასამტეხლო. საკრედიტო ბარათის გაუქმება იწვევს ამ პირობებით გათვალისწინებული მომსახურების შეწყვეტას.

7.7. **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს ან გაუქმოს საკრედიტო ბარათი, შეამციროს საკრედიტო ლიმიტი, მოითხოვოს კლიენტის მიერ საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტებთან, პირგასამტეხლოებთან და საკომისიოებთან ერთად ან/და სრულად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ: ა) კლიენტი დაარღვევს წინამდებარე პირობებს; ან ბ) გაუარესდება კლიენტის

ფინანსური მდგომარეობა ან დადგება მისი (კლიენტის ფინანსური მდგომარეობის) გაუარესების საფრთხე; ან გ) **ბანკის** შეხედულებით ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესდა) საერთო ეკონომიკური მდგომარეობა; ან დ) **კლიენტის** მოქმედება მიმართულია **ბანკის** მოტყუებისაკენ, ან აღმოჩნდება რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია არასრულია ან/და მცდარია.

7.8. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისათვის** გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს **საკრედიტო ლიმიტი**, თუ **საკრედიტო ბარათის** გაცემიდან ან/და **საკრედიტო ლიმიტის** დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, **საკრედიტო ბარათზე** არ დაფიქსირდება აქტიური ოპერაცია (სადებეტო ბრუნვა). **საკრედიტო ლიმიტის** გაუქმებამდე (**საკრედიტო ლიმიტის** გაუქმება განხორციელდება მისი (**საკრედიტო ლიმიტის**) ბლოკირებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში) **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** **საკრედიტო ლიმიტის** განბლოკვის მოთხოვნით. **საკრედიტო ლიმიტის** განბლოკვა წარმოადგენს ბანკის პეროგატივას და ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილი წესით.

7.9. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისათვის** გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების გარეშე გააუქმოს **საკრედიტო ლიმიტი**, თუ **საკრედიტო ბარათის** გაცემიდან ან/და **საკრედიტო ლიმიტის** დამტკიცებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, **საკრედიტო ბარათზე** არ დაფიქსირდება აქტიური ოპერაცია (სადებეტო ბრუნვა).

7.10. **ბანკის** მიერ **საკრედიტო ლიმიტის ბლოკირების**, გაუქმების ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს **ბანკის** წინაშე არსებული ყოველგვარი ვალდებულება. **ბანკი** უფლებამოსილია ასეთი დავალიანება უაქცეპტო წესით ჩამოჭრას **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან. თუ **კლიენტის** მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს დავალიანების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გზით.

7.11. **კლიენტის დეფოლტის** შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია: (ა) მოსთხოვოს **კლიენტს** გახარჯული **საკრედიტო ლიმიტის ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში სრულად დაფარვა; (ბ) დააკისროს წინამდებარე **პირობებით** დადგენილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულებლობისათვის დადგენილი საქვცია; ან/და (გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულება.

**8. ნებადართული ოპერაციები**

8.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე განხორციელოს მხოლოდ შემდეგი ოპერაციები:

- 8.1.1. საჭონის ან/და მომსახურების შექმნა სავაჭრო მომსახურების ობიექტებში (როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთ);
- 8.1.2. თანხის განაღდება ბანკომატის/პოს ტერმინალის მეშვეობით;
- 8.1.3. კომუნალური და სხვა გადასახდელების გადახდა ბანკომატისა და ინტერნეტის მეშვეობით;
- 8.1.4. **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ან სალაროში შეტანის გზით განთავსება;
- 8.1.5. VISA / MasterCard **საკრედიტო ბარათიდან** სხვა VISA / MasterCard ბარათზე გადარიცხვა VISA Direct / MasterCard MoneySend სერვისის მეშვეობით;
- 8.1.6. არსებული საკრედიტო ბალანსის ან/და ხელმისაწვდომი ნაშთის შემოწმება;
- 8.1.7. ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაციის ჩატარება.

8.2. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ შეზღუდოს ან/და შეეცალოს **საკრედიტო ბარათის** ფუნქციონალი, რამაც შესაძლებელია გააფართოვოს ან შეზღუდოს წინამდებარე დოკუმენტის 8.1. ქვე-პუნქტში ჩამოთვლილი ოპერაციების სახეობები (მათ შორის და არამარტო შეუძლებელი გახადოს ბანკომატში ან/და პოს ტერმინალში თანხის განაღდება მოცემული ტიპის **საკრედიტო ბარათიდან**).

**9. საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები**

9.1. **საკრედიტო ბარათის** მომსახურების ტარიფები (ასევე მათი გადახდის პირობები) განისაზღვრება დანართი #1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე **პირობებისა** და **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს.

9.2. **საკრედიტო ბარათზე** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა იწყება **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე პირველი ტრანზაქციის ასახვისთანავე. **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა **საკრედიტო ბარათის** ანგარიშიდან **ბანკის** მიერ ხდება უაქცეპტო წესით თვეში ერთხელ **გადახდის პერიოდის** ბოლო დღეს **საკრედიტო ლიმიტიდან**, მათ შორის მისი (**საკრედიტო ლიმიტის**) გადახარჯვის ხარჯზე (საკომისიოს გადასახდელად **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთის არასაკმარისობის შემთხვევაში).

9.3. **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დანაგარიშება საანგარიშო თვეში ბარათის გამოყენების ფაქტორული კალენდარული დღეების მიხედვით არ ხდება. ყოველგვარი ქვების გამოსარიცხად, **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა ხდება მთლიანი

მიჯნობით დამოუკიდებლად იმისა თუ რამდენი კალენდარული დღის განმავლობაში მოცემულ საანგარიშო თვეში სარგებლობდა **კლიენტი საკრედიტო ბარათით**.

9.4. **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა ხდება ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს და მისი (ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს) გათვალისწინება ხორციელდება **კლიენტის** მიერ გადასახდელ მინიმალურ / მთლიან გადასახადში.

9.5. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დაარიცხოს ტარიფების შესაბამისად განსაზღვრული **პროცენტი**, მომსახურების საკომისიო, **გადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი**, სხვა საჯარიმო სანქცია და ნებისმიერი გადასახდელი.

9.6. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეეცალოს დანართით #1 განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურების ტარიფი (მათ შორის, **საპროცენტო განაკვეთი**), რის შესახებაც არანაკლებ ერთი თვით ადრე უნდა მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება პრესაში, ტელევიზიაში, საკუთარ ვებ-გვერდზე, **ბანკის** სრულყოფილ ერთეულში განცხადების განთავსების გზით, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ბანკომატების ქსელის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტით შეტყობინების გაგზავნით. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება აღნიშნულ ცვლილებებს, იგი ვალდებულია მათ ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს** და სრულად მოახდინოს არსებული დავალიანების დაფარვა და **საკრედიტო ბარათის** დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ იგი ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

**10. საკრედიტო ლიმიტის ვალუტა**

10.1. **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტა არის **ლარი**.

10.2. თუ **კლიენტი** რაიმე ტრანზაქციას განახორციელებს **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტის გარდა ნებისმიერ სხვა ვალუტაში, ტრანზაქციის განსახორციელებლად საჭირო თანხები კონვერტირებული იქნება **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტაში. კონვერტაცია მოხდება **ბანკის** მიერ ტრანზაქციის **ბანკის** ელექტრონულ სისტემაში გატარების თარიღისათვის არსებული კურსით, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს **კლიენტის** მიერ ტრანზაქციის განხორციელების თარიღის კურსისგან.

10.3. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ ნებისმიერ **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებულ ტრანზაქციების მიმართ **ბანკი** გამოიყენებს თავის მიერ დადგენილ გაცვლით კურსს.

10.4. **კლიენტი** თანახმაა, რომ ნებისმიერი ცვლილება გაცვლით კურსში ტრანზაქციის მიმართ გამოიყენება დაუყოვნებლივ, **კლიენტისათვის** ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე. განახლებული გაცვლითი კურსი იქნება გამოყენებული შესაბამისი ტრანზაქციის შედეგად გახარჯული თანხების კონვერტაციისას. ნებისმიერი ტრანზაქციის შედეგად გახარჯული თანხის კონვერტაციისას გამოიყენებული გაცვლითი კურსი შესაძლოა არ დაემთხვეს ასეთი ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებულ კურსს, რადგან თანხის კონვერტაციისას გამოიყენება იმ დღის გაცვლითი კურსი, როდესაც ტრანზაქცია გატარდება **ბანკის** ელექტრონულ სისტემაში.

**11. პასუხისმგებლობა**

11.1. **ბანკის** მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, **კლიენტი** პასუხისმგებელი და ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი **გადახდის პერიოდის** ბოლო დღისა გადაუხადოს **ბანკს** თავის **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე რიცხული შემდეგი დავალიანებები:

11.1.1. **კლიენტის** ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ **კლიენტის** საკრედიტო ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქციის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი დავალიანება, მაშინაც კი თუ ბარათი გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისთვის იქნება გაუქმებული და ხელშეკრულება შეწყვეტილი;

11.1.2. ნებისმიერი სხვა პირის მიერ განხორციელებული ოპერაციის(ებ)ისათვის, თუ **კლიენტი** ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი ნებს დართავს ასეთ პირს განხორციელოს ტრანზაქცია;

11.1.3. **კლიენტის** ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევით განხორციელებულ ტრანზაქციებზე;

11.1.4. **კლიენტის** ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ნებისმიერი მესამე პირისათვის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე ასეთი პირის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საკრედიტო ბარათის**, მისი ნებისმიერი ნომრის ან კოდის მოპარვის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებს.

**12. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ**

12.1. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დოკუმენტაცია **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რა შემთხვევაშიც **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინოს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია.

12.2. თუ **კლიენტი ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს **ბანკის** მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტის საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება** ან/და გააუქმოს **კლიენტის**



**საკრედიტო ბარათის პირობები**

**საკრედიტო ბარათი** და მოითხოვოს ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** მის მიერვე დადგენილ ვადებში დაფარვა.

**13. თანხების უაქცეპტო წესით ჩამოჭრა**

13.1. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებზე **საკრედიტო ბარათის** გადახდის დღეს მის (**კლიენტის**) მიერ **ბანკში** გახსნილი ნებისმიერი ანგარიშიდან ან **საკრედიტო ლიმიტიდან**, მათ შორის **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის** ხარჯზე მისი (**კლიენტის**) დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას თანხები **პირობების** შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი დავალიანების სრულად ან ნაწილობრივად დასაფარავად. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშზე რიგზელი ან **საკრედიტო ლიმიტის** თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის **ბანკში** დადგენილი კურსით, რომლის ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოეჭრება **კლიენტს** ანგარიშიდან. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** წინამდებარე ქვე-პუნქტით გათვალისწინებულ უფლებზე **საკრედიტო ბარათის** გადახდის დღის შემდგომ პერიოდზე, იმ შემთხვევაში თუ გადახდის დღეს მის (**კლიენტის**) ანგარიშზე არ ირიცხებოდა **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების დასაფარად აუცილებელი ხელმისაწვდომი ნაშთი.

13.2. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ან/და მისი (**კლიენტის**) თავდები პირის მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას **ბანკში** ამავდროულად გააჩნია ნებისმიერი სახის უზრუნველყოფილი სესხი, **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე რიგზელი დავალიანების თანხა დაფაროს უზრუნველყოფილი სესხის თანხადან. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც **ბანკი** მიიჩნევს საჭიროდ წინამდებარე პუნქტში აღწერილი ქმედების წარმატებით შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე პუნქტით და **პირობების** სხვა შესაბამისი პუნქტები მიჩნეულ იქნება როგორც ცვლილება შესაბამის სესხის ხელშეკრულება(ებ)ში და **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **საკრედიტო ბარათის** დავალიანება სრულად გადაფაროს უზრუნველყოფილი სესხის მეშვეობით.

**14. დამატებითი ბარათები**

14.1. **კლიენტი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **ბანკს** მესამე პირისათვის დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება და გადაცემა, რისთვისაც ის ანიჭებს **ბანკს** სრულ უფლებამოსილებას დაამზადოს დამატებითი ბარათ(ებ)ი და გადასცეს **კლიენტის** მიერ მითითებულ პირ(ებს).

14.2. დამატებითი ბარათის საშუალებით მესამე პირს მიეცემა უფლება ისარგებლოს **კლიენტის საკრედიტო ლიმიტით** და ამ ბარათ(ებ)ზე სრულად ვრცელდება **საკრედიტო ბარათით** მომსახურების წინამდებარე **პირობები** და ხელშეკრულება.

14.3. **კლიენტი** ვალდებულია სრულად გააცნოს დამატებითი ბარათის მფლობელს წინამდებარე **პირობები**.

14.4. დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და თანხების დაბრუნებაზე პასუხს აგებს **კლიენტი**.

14.5. დამატებითი ბარათის მეშვეობით წარმოებული საბანკო ოპერაციების შედეგად თანხების ბრუნვა აისახება **კლიენტის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე. **კლიენტის** მიერ მოთხოვნილი დამატებითი ბარათების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 3 (სამი) ბარათს თითოეული **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე.

14.6. **ბანკი** უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი უთხრას **კლიენტს** დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადებასა და ნებისმიერი მესამე პირისათვის გადაცემაზე, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.

**15. ავტორიზაცია**

15.1. **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** მეშვეობით გადახდის დასრულებამდე მოითხოვოს თავის მხრივ საბანკო ოპერაციის წინასწარი **ავტორიზაცია**.

15.2. **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციის **ავტორიზაციაზე**, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა **კლიენტს საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ტრანზაქციის განხორციელებისათვის საჭირო თანხა ან/და იმყოფება ვადადავაცილებამში. აღნიშნული შეზღუდვის გარეშე შესაძლოა განხორციელდეს ტექნიკური სირთულეების, თანხის დატაცების თავიდან აცილების ან ნებისმიერი სხვა მსგავსი მიზეზის გამო. **კლიენტი** თანახმაა ასეთ შეზღუდვაზე და პრეტენზიას არ გამოთქვამს **ბანკის** მიერ ტრანზაქციის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

**16. შეღავათიანი პირობები და წამახალისებელი აქციები**

16.1. **ბანკი** უფლებამოსილია, რომ **საკრედიტო ბარათის** პროდუქტთან მიმართებაში **კლიენტისათვის** ყოველგვარი შეტყობინების გარეშე გამოიყენოს წამახალისებელი აქციები, **საკრედიტო ბარათის** პირობებზე თუ ტარიფებზე **კლიენტისათვის** დროებითი თუ მუდმივი ხასიათის შეღავათიანი პირობების

დაწესებით. **კლიენტის** მიერ ასეთი წამახალისებელი აქციების დროს **საკრედიტო ბარათით** სარგებლობა გულისხმობს მის თანხმობას ასეთი აქციების პირობებზე.

16.2. **ბანკი** იტოვებს უფლებას გამოიყენოს **კლიენტის** ფოტოსურათი, სახელი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები თავისი ნებისმიერი მარკეტინგული მასალების მიზნებისათვის (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის სარეკლამო კამპანიას, პრომო აქციებს და ა.შ., რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.

**17. შეტყობინების ვალდებულება**

17.1. **ბანკი** უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი პერიოდულობით **განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა საშუალებით აცნობოს **კლიენტს საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე არსებული დავალიანების შესახებ. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ შეტყობინების მიღებაზე და ასეთი შეტყობინების მიუღებლობა არ ათავისუფლებს **კლიენტს** ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** და ნებისმიერი სხვა გადასახდელის გადახდის ვალდებულებისგან. **კლიენტი** ვალდებულია **მინიმალური გადასახდელი** თანხის შესახებ ნებისმიერი მიზეზით **ბანკისგან** შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში, თავად დაუკავშირდეს **ბანკს** და მოითხოვოს ინფორმაცია თავისი მიმდინარე და **სრული დავალიანების** ოდენობისა და ვადების შესახებ.

17.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეტყობინოს **ბანკს საკრედიტო ბარათის განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში მითითებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

**18. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია**

18.1. **ინფორმაციის დამუშავება** **კლიენტისათვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის შედეგად **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაციის** (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება. მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ შეროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აღდგენას, აღდგენას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომპინაციას, დაბოლოვებას, წაშლას ან განადგურებას.

18.2. **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, მიების ველი დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქტის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

18.3. **კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება** თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირ(ებს)** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

18.4. **კონფიდენციალურ ინფორმაციას** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც თანახმაა არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** შესახებ **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირ(ებს)**ის კანონიერი მოთხოვნის დაცვით დასაბუთებულ შემთხვევაში.

18.5. **ინფორმაციის გადაცემა/გამოთხოვა**. **კლიენტი** **ბანკს** ანიჭებს უპირობო უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

18.5.1. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადაც საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **ბანკისათვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

18.5.2. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადაც საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მომსახურების შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად **მესამე პირებს** (მათ შორის და არამარტო, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესხორებს) გადასცეს ან/და **მესამე პირებისგან** მიიღოს, **ბანკისათვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

18.5.3. **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია** **ბანკის** შეილობილ, აფილირებულ ან სხვა

**საკრედიტო ბარათის პირობები**

ნებისმიერ **მესამე პირებს** მათ მიერ სხვადასხვა მიმსახურების შემოთავაზებების მიზნით.

18.5.4. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტთან (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740, შემდგომში - **კრედიტინფო**), შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში **კრედიტინფოს** მიაწოდოს ინფორმაცია **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროშობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

18.5.5. მიხედვით თანხმობა **კრედიტინფოს**, რომ **ბანკის** მიერ **კრედიტინფოსთვის** მიწოდებული **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** მონაცემები **კრედიტინფომ** გადასცეს **მესამე პირებს**, იმ პირობით, რომ **ბანკის** მიერ მიწოდებული **კლიენტის** ან ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** მონაცემების მიწოდება მოხდება იმ **პირობისათვის**, რომლებიც თავადაც აწვდიან **კრედიტინფოს** აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება **კრედიტინფოსთან**;

18.5.6. მიიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს **კრედიტინფოს** მონაცემთა ბაზაში არსებული **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** მონაცემები.

18.6. **პირდაპირი მარკეტინგი** **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **ბანკს** დავიფორმებული **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებები გაგზავნა, მაშინ სანამ **ბანკი კლიენტისაგან** არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხა, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **კლიენტს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (**ბანკთან** ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის ბანკომატი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი და სხვა).

18.7. **სააგრო უფლებები** **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ტექსტით, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მითითებს მათზე სააგრო ქონებრივ უფლებებს.

18.8. **მონაცემების განახლება და შენახვის ვადა** **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**. ამასთან, იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც **კლიენტის** მიერ **ბანკს** მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილურ აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

18.9. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში მიაწვდის **კლიენტს** მის შესახებ **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე **ბანკს** ვალდებუდა აქვს უფლება დააწესოს მომსახურების ტარიფის საკომისიოს სახით. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.

**19. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა**

- 19.1. წინამდებარე **პირობები** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 19.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ **პირობებს** ან ამ **პირობების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.
- 19.3. თუ **მხარეები** შეთანხმებენ ვერ მიაღწევენ მოლაპარაკების გზით, ისინი უპირობოდ თანახმა არიან, შეიტანონ ან საჩივარი სასამართლოში **ბანკის** ოურიდულის მისამართის შესაბამისად.

**20. დასკვნითი დებულებები**

20.1. **უფლებამოსილებათა გადაცემა** **ბანკის** წინასწარი შეტყობინების გარეშე **კლიენტი** უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს შეუძლია

დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს.

20.2. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** გამოიყენებს 20.1. პუნქტში მითითებულ უფლებას ან დააპირებს ამ უფლების გამოყენებას, **კლიენტი** თანხმობას აძლევს რომ **ბანკს** ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის** ანგარიშის შესახებ ინფორმაცია სხვა მესამე პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს. აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას **კლიენტის** კანონის მიერ უფლებებზე.

20.3. **ხელშეკრულების პირობების დამოუკიდებლობა** თუ წინამდებარე **პირობების** რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ზათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას **პირობების** დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

20.4. **სათაურები და განმარტება** წინამდებარე **პირობებში** აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისათვის და არ აქვს ზეგავლენა ხელშეკრულების პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე.

20.5. **საკრედიტო ბარათის მოქმედების შეჩერება** უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, თუკი წარმოიქმნება ეჭვის საფუძველი, რომ **საკრედიტო ბარათი** შეიძლება გამოიყენებულ იქნას არასანქცირებლად ან/და თაღლითურად, ასევე თუკი **ბანკს** მიაჩნია, რომ **კლიენტი** ვერ შეძლებს საკრედიტო დავალიანების სრულად ან/და დროულ დაფარვას, **ბანკს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად, წინასწარი შეტყობინებით ან მის გარეშე შეწყვიტოს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება. ასეთ შემთხვევაში **ბანკს** უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, შეტყობინოს მიღებული გადაწყვეტილების მიზეზის შესახებ.

20.6. **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობების** 20.5. ქვეპუნქტში მითითებული უფლების გამოყენება არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას ვიდრე **კლიენტი** სრულად არ დაფარავს თავის საკრედიტო დავალიანებას, იგი გაგრძელდება ითვლება იგივე პირობებით და **კლიენტი** ვალდებულია სრულად შეასრულოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ყველა და ნებისმიერი ვალდებულება.

20.7. **ბანკს** უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, შეწყვიტოს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება ადამიანის თუკი წინამდებარე **პირობების** 20.5. ქვეპუნქტში აღნიშნული შეწყვეტის საფუძველი აღარ იარსებებს და **კლიენტის** მიერ მოწოდებული იქნება ინფორმაცია აღნიშნული შეწყვეტის საფუძველების არარსებობის შესახებ.

20.8. **საკრედიტო ბარათის პირობების ცვლილება და შეტყობინებები** **ბანკს** უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ **პირობების** ტექსტში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს **კლიენტს** **ბანკის** საინფორმაციო საშუალებების (ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის და ა.შ.) მეშვეობით.

20.9. **კლიენტის** მიერ **ბანკიდან** ელექტრონული სახით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების ძალა.

20.10. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ შეტყობინებების მიუღებლობაზე თუკი იგი გაგზავნილი იქნა იმ მისამართზე ან იმ საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც **კლიენტის** მიერ წინასწარ არის მითითებული.

20.11. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მოთხოვნილი იქნება **ბანკის** მიერ ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

20.12. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობითი ფორმით.

20.13. **უფლებების გამოყენებლობა** **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული უფლებების გამოყენებლობა არ გულისხმობს ამგვარ უფლებებზე ან/და მათ შემდგომ გამოყენებაზე უარის თქმას.

20.14. ყველა დანარჩენი საკითხი რაც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე **პირობებით** რეგულირდება **ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობების** შესაბამისად.

20.15. **ბანკში პრეტენზიის წარდგენის წესი** **კლიენტი** უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში 30 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით **ბანკის** ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების საშუალებით ან/და ელექტრონული ფოსტით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [pretenzia@libertybank.ge](mailto:pretenzia@libertybank.ge) **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

20.16. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათ) **საბანკო დღეს**.

20.17. **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს აცნობოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებ-გვერდის [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) საშუალებით.

20.18. **ხელშეკრულების შეწყვეტა** **კლიენტი** უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ სრულად გადაიხდის **საკრედიტო ლიმიტის** ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ სარგებელსა და ასევე პირგასამტეხლოებს. **ხელშეკრულება** შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ რაც **კლიენტი** სრულად დაფარავს დავალიანებას და დაუბრუნებს **ბანკს** **საკრედიტო ბარათს** და ყველა დამატებით ბარათს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

20.19. **ბანკს** უფლება აქვს შეტყობინების გაგზავნის გარეშე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. **ბანკის** მიერ ხელშეკრულების



**საკრედიტო ბარათის პირობები**

ცალმხრივად შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს** პასუხისმგებლობისგან შეასრულოს წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საკრედიტო ლიმიტის** ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული სარგებლისა და პირგასამტეხლობის გადახდას.

20.20. **ბანკის** მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში დაფაროს მასზე რიცხული დავალიანება სრულად.

20.21. **ბანკს** უფლება აქვს **კლიენტთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე, თუ ჩათვლის საჭიროდ, ცალმხრივად შეწყვიტოს ან შეაჩეროს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება ან/და არ მისცეს ავტორიზება **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათით** განხორციელებულ ოპერაციებს, რაზედაც **ბანკი** არ აგებს პასუხს. **ბანკის** მიერ აღნიშნული უფლების გამოყენება არ წვეტს ხელშეკრულების მოქმედებას და არ ათავისუფლებს **კლიენტს** **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #1 - ტარიფები

	Magic Card	Teacher's Card	Shopping Card	Instanta Card
<b>ძირითადი ბარათი / დამატებითი ბარათი:</b>				
ბარათის მოქმედების ვადა:	<ul style="list-style-type: none"> <li>საერთაშორისო საბანკო ბარათი (Visa Classic payWave / MasterCard Standard PayPass) - 6 (ექვსი) წელი</li> <li>ლოკალური საბანკო ბარათი (PAY) - 10 (ათი) წელი</li> </ul>			
ძირითადი ბარათის დამზადების ღირებულება:	უფასო			
ბარათის ვალუტა:	ლარი*			
დამატებითი ბარათის დამზადების ღირებულება:	20.00 ლარი	10.00 ლარი	15.00 ლარი	20.00 ლარი
ყოველთვიური მომსახურების საკომისიო - ვრცელდება მხოლოდ ძირითად ბარათზე:	3.00 ლარი	2.00 ლარი	3.00 ლარი	1.00 ლარი
დაკარგული / დაზიანებული ბარათის აღდგენის საკომისიო:	20.00 ლარი	10.00 ლარი	15.00 ლარი	20.00 ლარი
<b>საკრედიტო ლიმიტის პირობები:</b>				
საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების საკომისიო:	არ არის გათვალისწინებული			დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტის 2.00%, მინიმუმ 10.00 ლარი
წულოვანი პროცენტის პირობა:	გაითვალისწინება			არ გაითვალისწინება
მინიმალურ გადასახადში შემავალი საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხის ნაწილი:	5.00%	5.00%	5.00%	0.00%
წლიური საპროცენტო განაკვეთი (ნებისმიერ ვალუტაში):	<ul style="list-style-type: none"> <li>24.00% - პირადი ბანკირის სამსახურის კლიენტები;</li> <li>28.00% - მეანაბრეები, ლიბერთი ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელები, ვადიანი</li> </ul>	30.00%	28.00%	60.00%

	<p>ანაბრით უზრუნველყოფილი Magic Card-ის მფლობელები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>36.00% - დანარჩენი კლიენტები.</li> </ul>			
<b>ბარათიდან თანხის განაღდებას საკომისიო:</b>				
ლიბერთი ბანკის ბანკომატებში და სერვის ცენტრებში:	განაღებული თანხის 3.00%, მინიმუმ 4.00 ლარი	განაღებული თანხის 2.00%, მინიმუმ 2.00 ლარი	ბარათიდან თანხის განაღდება გათვალისწინებული არ არის	განაღებული თანხის 3.00%, მინიმუმ 4.00 ლარი
კორ სტანდარტ ბანკის ბანკომატებში და სერვის ცენტრებში:	განაღებული თანხის 4.00%, მინიმუმ 5.00 ლარი	განაღებული თანხის 4.00%, მინიმუმ 5.00 ლარი	ბარათიდან თანხის განაღდება გათვალისწინებული არ არის	განაღებული თანხის 4.00%, მინიმუმ 5.00 ლარი
თიბისი ბანკის, ბანკი ქართუს და პროკრედიტ ბანკის ბანკომატებში და სერვის ცენტრებში:	განაღებული თანხის 4.00%, მინიმუმ 5.00 ლარი	განაღებული თანხის 4.00%, მინიმუმ 5.00 ლარი	ბარათიდან თანხის განაღდება გათვალისწინებული არ არის	განაღებული თანხის 4.00%, მინიმუმ 5.00 ლარი
სხვა ბანკის ბანკომატებში და სერვის ცენტრებში:	განაღებული თანხის 4.00%, მინიმუმ 5.00 ლარი	განაღებული თანხის 4.00%, მინიმუმ 5.00 ლარი	ბარათიდან თანხის განაღდება გათვალისწინებული არ არის	განაღებული თანხის 4.00%, მინიმუმ 5.00 ლარი
<b>ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობა:</b>				
საქართველოში:	უფასო, ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაციების გარდა			
საზღვარგარეთ:	უფასო, ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი (ე.წ. Quasi Cash) ოპერაციების გარდა			
ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი	ოპერაციის თანხის 4.00% მინიმუმ 5.00 ლარი			



(ე.წ. Quasi Cash) ოპერაციები - ყველა რეგიონი:				
<b>ბარათის გამოყენების დღიური ლიმიტები:</b>				
განაღების ოპერაციები:	2,000 ლარი	ბარათიდან თანხის განაღდება გათვალისწინებული არ არის	2,000 ლარი	
გადახდის ოპერაციები:	5,000 ლარი ან აღნიშნული თანხის ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში			
<b>ბარათიდან ბარათზე თანხის გადარიცხვა - VISA Direct / MasterCard MoneySend სერვისი</b>				
ლიბერთი ბანკის მიერ ემიტირებულ ბარათზე:	გადარიცხული თანხის 3.00% მინიმუმ 4.00 ლარი	გადარიცხული თანხის 2.00% მინიმუმ 2.00 ლარი	ბარათიდან თანხის გადარიცხვა <b>VISA Direct</b> სერვისით გათვალისწინებული არ არის	გადარიცხული თანხის 3.00% მინიმუმ 4.00 ლარი
სხვა ბანკის მიერ ემიტირებულ ბარათზე:	გადარიცხული თანხის 4.00% მინიმუმ 5.00 ლარი	გადარიცხული თანხის 4.00% მინიმუმ 5.00 ლარი	ბარათიდან თანხის გადარიცხვა <b>VISA Direct</b> სერვისით გათვალისწინებული არ არის	ბარათიდან თანხის გადარიცხვა სხვა ბანკის ბარათზე MasterCard MoneySend სერვისით გათვალისწინებული არ არის
<b>ნაშთის შემოწმება ბანკომატში</b>				
ლიბერთი ბანკის ბანკომატებში:	უფასო	უფასო	უფასო	უფასო
კორ სტანდარტ ბანკის ბანკომატებში:	უფასო	უფასო	უფასო	უფასო
თიბისი ბანკის და ბანკი ქართუს ბანკომატებში:	0.50 ლარი - ყოველი შემოწმების ოპერაციისათვის	0.50 ლარი - ყოველი შემოწმების ოპერაციისათვის	0.50 ლარი - ყოველი შემოწმების ოპერაციისათვის	0.50 ლარი - ყოველი შემოწმების ოპერაციისათვის
სხვა ბანკის ბანკომატებში:	1.00 ლარი - ყოველი შემოწმების ოპერაციისათვის	1.00 ლარი - ყოველი შემოწმების ოპერაციისათვის	1.00 ლარი - ყოველი შემოწმების ოპერაციისათვის	1.00 ლარი - ყოველი შემოწმების ოპერაციისათვის

	ოპერაციისათვის		ოპერაციისათვის	
<b>საჯარიმო სანქციები</b>				
ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო:	არ არის განსაზღვრული*			
ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი:	ათვისებული საკრედიტო ლიმიტის 0.40% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე**			
საკრედიტო ბარათის დეფოლტის პირგასამტეხლო (ერთჯერადი):	50.00 ლარი	50.00 ლარი	50.00 ლარი	50.00 ლარი
საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პროცენტი:	გადახარჯული თანხის წლიური 150.00% დაანგარიშებული გადახარჯვის ყოველ კალენდარულ დღეზე**			
<b>დავალიანების ავტომატური დაფარვის სერვისი</b>				
სერვისის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიო:	5.00 ლარი	2.50 ლარი	5.00 ლარი	5.00 ლარი
სერვისის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო:	1.00 ლარი	0.50 ლარი	1.00 ლარი	1.00 ლარი
<b>სხვა პირობები</b>				
ბარათის ლოკალურ სტოპ სიაში ჩასმა:	უფასო			
ბარათის საერთაშორისო სტოპ სიაში ჩასმა:	80.00 ლარი	80.00 ლარი	80.00 ლარი	80.00 ლარი
PIN-ის შეცვლა ბანკომატის საშუალებით:	2.00 ლარი	2.00 ლარი	2.00 ლარი	2.00 ლარი

\* წინამდებარე პირობები ძალაში შედის და ვრცელდება მხოლოდ 2017 წლის 15 იანვრის შემდგომ გაცემულ საკრედიტო ბარათებზე

\*\* წინამდებარე პირობები ძალაში შედის და ვრცელდება მხოლოდ 2017 წლის 02 მარტიდან გაცემულ საკრედიტო ბარათებზე